



KA031539166140019

სსიპ „წამლის სააგენტო“

N 192

თარიღი 02 / ივლისი / 2019 წ.

შედგენის ადგილი: ქ. თბილისი

ელექტრონული საჯარიმო ქვითარი

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 44<sup>12</sup> მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისთვის

1. სამართალდამრღვევი:

- ა) სამართლებრივი ფორმა და დასახელება: შპს „თურმანიძე პლიუსი“
- ბ) საიდენტიფიკაციო ნომერი/კოდი: 205244074
- გ) რეგისტრაციის მისამართი (იურიდიული მისამართი): ქ. თბილისი საბურთალოს რაიონი, კოსტავას ქ., №75, ბ21
- დ) საქმიანობაზე ნებართვის ნომერი: 000268

2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის არსი: პირველ ჯგუფს მიკუთვნიებული ფარმაცევტული პროდუქტის ლეგალური ბრუნვის სფეროში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ინფორმაციის მიუწოდებლობა - აღნიშნული იურიდიული პირის მიერ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 25 მაისის N140/ნ ბრძანების პირველი პუნქტით და ამავე ბრძანების დანართი N4-ით დადგენილი წესით არ იქნა წარმოდგენილი 2019 წლის აპრილის თვის ინფორმაცია პირველ ჯგუფს მიკუთვნიებული ფარმაცევტული პროდუქტის ლეგალური ბრუნვის შესახებ.

3. ჯარიმის ოდენობა: 500 (ხუთასი) ლარი.

4. აღნიშნული საჯარიმო ქვითარი (სამართალდარღვევის ოქმი) შეიძლება გასაჩივრდეს მხარისათვის მისი გაცნობიდან 10 დღის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი, №6).

5. საჯარიმო ქვითრის გადახდის ინსტრუქცია:

დამრღვევმა ჯარიმა უნდა გადაიხადოს საჯარიმო ქვითრის ჩაბარებიდან 30 (ოცდაათი) დღის ვადაში. აღნიშნულ ვადაში ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში დაჯარიმების შესახებ გადაწყვეტილება იქნება აღსრულებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში.

საჯარიმო თანხის გადახდა უნდა განხორციელდეს ნებისმიერი საბანკო დაწესებულების მეშვეობით შემდეგი სავალდებულო რეკვიზიტების გათვალისწინებით:

- ა) გადამხდელის ვინაობა;
- ბ) მიმწოდებლობაში უნდა მიეთითოს საჯარიმო ქვითრის ნომერი;
- გ) საბანკო კოდი: TRESGE22;
- დ) სახაზინო კოდი: 302003243;

6. თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი (ქვითარი) სამართალდამრღვევის მიერ წარმოდგენილ უნდა იქნეს სსიპ „წამლის სააგენტოში“ შემდეგ მისამართზე: 0119, ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზ. N144.

საჯარიმო ქვითარი შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან 10 დღის ვადაში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, რა დროსაც ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაში მიცემულ პირს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლის თანახმად, უფლება აქვს გაეყენოს საქმის შესაჩივრებელი მხარის განმარტებანი, წარადგინოს მტკიცებულებანი, განაცხადოს მუამდგომლობანი; საქმის განხილვისას ისარგებლოს აღვრკატის იურიდიული დახმარებით; გამოვიდეს მომბლიურ ენაზე და თუ არ იცის მიმდინარე ხარმოების ენა, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით; გაასაჩივროს საქმის გამო მიღებული დადგენილება;

ნარკოტიკების ლეგალური ბრუნვის სამმართველოს სპეციალისტი

ხელმოწერილია/  
შტამპდასმულია  
ელემბრონულად



ნინო ქსოვრელი